ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა გასვლითი კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#1

4 აგვისტო 2020 წელი

ქ.ბაღდათი (ვაჟა ფშაველას ქუჩა) 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ფრიდონ მაჩიტაძე, მურად ბურჯანაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე, ქ.ბაღდათში ვაჟა ფშაველას ქუჩის და რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებლები: სპარტაკი ნატრიაშვილი, ბესო თედორაძე, რუსუდან მინაძე, შამი ფაიქიძე, რამი ფაიქიძე, კახა ახობაძე, რამაზი გეგეშიძე, გელა კოვზაძე, გიორგი ზირაქაძე, შხამქიმიკატების მაღაზიის მესაკუთრე ვაჟა კოვზაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე 30.11.33.818 საკადასტრო კოდზე მდებარე 71.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში და საპრივატიზაციო გეგმაში

დამტკიცებისა და შემდგომში ელექტრონული აუქციონის პრივატიზების მიზნით საკითხის განხილვის შესახებ

მომხს: სიმონ ჭოლოკავა

სხდომაზე დამსწრეები თანხმაა განიხილონ საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე 30.11.33.818 საკადასტრო კოდზე მდებარე 71.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში და საპრივატიზაციო გეგმაში დამტკიცებისა და შემდგომში ელექტრონული აუქციონის პრივატიზების მიზნით საკითხის განხილვის შესახებ

შამი ფაიქიძე: კარგი იქნება ამ მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევაში დასუფთავდება და მოევლება

კომისიის წევრი: მურად ბურჯანაძემ განაცხადა მიწა რომ გავასხვისოთ და შემდგომ მოხდეს შენობის ჩადგმა ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს უკმაყოფილება ამ კომისიის მიმართულებით

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ განაცხადა, რომ კომისიას არ ეხება შენობის ჩადგმის საკითხი ამ საკითხს და შენობის ჩადგმას შეისწავლის შესაბამისი სამსახურები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილმა განაცხადა, რომ სავალდებულოა კანონით განსაზღვრული პარამეტრების დაცვა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი ობიექტის მშენებლობის დაწყების შემთხვევაში

შხამქიმიკატების მაღაზიის მესაკუთრე: ვაჟა კოვზაძემ განაცხადა, რომ ამ ახალ შენობაზე რომელიც აშენებულია დაცულია ყველა საჭირო კანონით განსზღვრული პარამეტრები

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ განაცხადა, რომ გვინდოდა გაგვეგო მცხოვრებლების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით თუ არის საერთო თანხმობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე

ყველა პიროვნება იქ მცხოვრებლები და აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლები თანახმაა: ქ. ზაღდათში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე 30.11.33.818 საკადასტრო კოდზე მდებარე 71.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში და საპრივატიზაციო გეგმაში დამტკიცებისა და შემდგომში ელექტრონული აუქციონის პრივატიზების მიზნით საკითხის განხილვის შესახებ მოხდეს საკითხის გატანა კომისიის სხდომაზე

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავა